ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებისადმი მიმართვიანობა

„ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორის“ კვლევის შედეგების მიხედვით[1]

მოკლე შეჯამება

ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ, 2024 წლის მარტი-მაისის პერიოდში, „ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორის“ შესწავლის მიზნით, განხორციელებული კვლევის ფარგლებში **10 სამიზნე მუნიციპალიტეტში - ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, წყალტუბო, ხონი, ქუთაისი, ბაღდათი, ჩოხატაური სამტრედია, ქობულეთი, რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გამოიკითხა 1027 რესპონდენტი (ქალი).**

ძალადობის ფაქტების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებისა და გავლენის შემცირებისათვის მნიშვნელოვანი როლი აქვს **ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებისადმი მიმართვას.**

კვლევამ აჩვენა, რომ ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისებისადმი მიმართვიანობა **დაბალია,** რაც უმეტესწილად განპირობებულია მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით, მომსახურების ხარისხისადმი უნდობლობით და სოციალური სტიგმისა და საზოგადოებრივი განკითხვის შიშით.



დიაგრამა №1

მიგნებები

- 2023 წ. გამოკითხული ქალების 16% აღნიშნავდა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევაში არავისთვის მიუმართავს. 2024 წ. მათი რიცხვი 21.5%-ია, თუმცა ვერ ვისაუბრებთ სიტუაციის გაუარესებაზე, ვინაიდან გასულ წელს დასმული კითხვის ფორმატი იყო განსხვავებული. მიუხედავად ამისა, ზოგადი ტენდენცია გვიჩვენებს **მიმართვიანობის დაბალ დონეს;**
- **2023 წ. მიმართვიანობის თვალსაზრისით,** ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა **ადგილობრივი ხელისუფლების და პოლიციის (112) მიმართ** (შემთხვ. დაახლ. 44-45%%). **2024 წელს სიტუაცია ოდნავ შეცვლილია:** ძალადობის შემთხვევაში, პირველ რიგში ქალები მიმართავენ (ან მიმართავდნენ) პოლიციას (შემთხვ. 48.6%), შემდეგ ცხელ ხაზს - 116 006 (შემთხვ. 46.9%) და ადგილობრივ ხელისუფლებას (შემთხვ. 45.9%); აღნიშნული ტენდენცია მიუთითებს, ერთი მხრივ, ქალთა მხრიდან აღნიშნული უწყებების მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმირებულობაზე და პოლიციისა და მუნიციპალიტეტების მიმართ ნდობის გაზრდაზე, ხოლო მეორე მხრივ, თავად ამ აქტორების მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხისადმი მგრძნობელობის გაზრდაზე და რეაგირების გაუმჯობესებაზე. არასამთავრობო ორგანიზაციები, მიმართვიანობის კუთხით რიგით მეოთხეა (შემთხვევათა დაახლ. 37 – 33%%) (იხ. დიაგრამა #2).
- 2024 წ. მიზეზებს შორის, თუ **რატომ არ მიმართეს, ან არ მიმართავენ არავის/ არც ერთ სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში,** პირველ რიგში დასახელდა **„სტიგმა და საზოგადოების განკითხვის შიში“** (შემთხვევათა 27,9**%)**, რომელიც სავსებით შეესაბამება 2023 წ. მონაცემებს**.** გამოკითხულ ქალთა მეოთხედი კვლავ უსვამს ხაზს, რომ **„არ იცოდა, ვისთვის მიემართა“** (შემთხვევათა 24,5%) ან **არ სჯერათ, რომ მიმართვის შემთხვევაში შესაბამის დახმარებას მიიღებდნენ** (21,4%). იხ. ცხრილი #2, დიაგრამა #2.
- სტატისტიკა ცალსახად მეტყველებს საზოგადოების მხრიდან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ შეუწყნარებლობის გამოხატვის და ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ მეტი მგრძნობელობის და მხარდაჭერის საჭიროებაზე. მკაფიოა ასევე, მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ ქალების უფრო ფართოდ ინფორმირების, თავად სერვისების მიმართ სანდოობის გაზრდის და ქალთა საჭიროებებზე მორგების აუცილებლობა.

[1] https://sosfsokhumi.ge/map

დიაგრამა №2



ცხრილი №2

რატომ არ მიმართეთ არავის/არც ერთ სერვისს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში? 2023 წ.	პასუხების რაოდენობა
შემეშინდა ოჯახის წევრების/ ახლობლების/ნაცნობების უარყოფითი რეაქციის	17
არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა	11
ვიფიქრე, რომ მაინც ვერ მივიღებდი დახმარებას	25
არ მინდოდა, ჩემი პრობლემის შესახებ ინფორმაცია გახმაურებულიყო	77

დიაგრამა №3



ძალადობაგამოვლილ ქალთა მხარდაჭერის სერვისების მეტად პოპულარიზება, მათი ხილვადობისა და გამჭვირვალობის გაზრდა

- ძალადობის მსხვერპლთა დახმარების შესახებ მოსახლეობის მეტი ინტენსივობით ინფორმირება (მაგ: შეხვედრები, ინდივიდუალური საუბრები, საინფორმაციო კამპანიის წარმოება სოციალური ქსელებით, ფლაერების/ბუკლეტების საშუალებით და ა.შ.); განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა ინფორმაციულ კამპანიებში;
- 116 006-ის და მობილური აპლიკაციების (მაგ: 112, Safe you) ბავშვთა დახმარების ხაზის 111-ის შესახებ მოსახლეობის მეტად ინფორმირება;
- ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი რეფერირების სუბიექტების, მათ შორის ექიმების, პედაგოგების, პოლიციის, სოციალური მუშაკების მეტი ინფორმირება ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის არსებულ სერვისებზე (მუნიციპალური, არასამთავრობო სერვისები) და მათი დახმარებით ინფორმაციის ფართოდ გავრცელება მოსახლეობაში;
- არსებული სერვისებისადმი სანდოობის გაზრდის მიზნით ქალებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდება არსებული სერვისების მიზნების, პროცედურებისა, ხარისხის სტანდარტების შესახებ;
- სოციალური მუშაკების მხრიდან, მათ შორის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების სოციალური მუშაკების ინტენსიური მუშაობა ძალადობის რისკ-ჯგუფში შემავალი მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებთან, და ინფორმაციის ფართო გავრცელება;
- ძალადობაგამოვლილ ქალთა წარმატებული ისტორიების გავრცელება, რომლებმაც უკეთესობისკენ შეცვალეს თავისი ცხოვრება შესაბამისი დახმარების მიღების შემდეგ.

საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და ძალადობაგამოვლილი ქალების მიმართ მეტი მგრძნობელობის და მხარდაჭერის გაძლიერება

- ცნობიერების ამაღლების ფართო კამპანიების ჩატარება და საზოგადოების ინფორმირება ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის სოციალური მავნებლობის შესახებ და მათში სოციალური და კოლექტიური პასუხისმგებლობის გაღვივება ძალადობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის საქმეში;
- მამაკაცების ჩართვა მავნე სტერეოტიპების დაგმობის და გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად.